ქეთევან ღოღობერიძე

ჟურნალი „ალავერდი“

„ჟურნალ „ალავერდის“ მიზნად და ფუნქციად კი რჩება ღვთისმოყვარე ხალხის ეკლესიაში მოხმობა და მათთვის ეკლესიის დედად გაცნობიერებაში დახმარება, რადგან ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, არც ღმერთია მამა.“

„მცირე სამწყსო“, „მოყვასი“, „გზა და ჭეშმარიტება“ - ალავერდის ეპარქიის პერიოდული გამოცემების სახელებია; ერთი მეორის წინა მორბედი, შემდგომის ხასიათის, მიზნის განმსაზღვრელი და წინაპირობა იყო.

თუ პროცესს თვალს გავადევნებთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ალავერდის ეპარქიის მცირე სამწყსო (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) გაიზარდა და გასცდა ეპარქიის საზღვრებს, დღეს უკვე მთელი ქვეყნისთვის სასარგებლო და აუცილებელ საქმეს აკეთებს.

ალავერდის ეპარქიის გამოცემის განახლება და ფორმატის ცვლილება არ გულისხმობს დამკვიდრებული ტრადიციებისადმი დამოკიდებულების გადახედვას. ჩვენი სათქმელის გადმოცემას ახალი ფორმატით შევეცდებით. ჟურნალ „ალავერდის“ მიზნად და ფუნქციად კი რჩება ღვთისმოყვარე ხალხის ეკლესიაში მოხმობა და მათთვის ეკლესიის დედად გაცნობიერებაში დახმარება, რადგან ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, არც ღმერთია მამა, ჟურნალ „ალავერდის“, ისევე როგორც ყველა წინა გამოცემის, სულის ჩამდგმელი ალავერდის ეპარქიის სასულიერო კრებულია აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის წინა მძღოლობითა და კურთხევით. პირველი ნომრის გამოცემაში დიდია იმ ადამიანთა წვლილი, რომლებიც ღვთის ნებითა და ცხოვრებისეულ მოვლენათა მათდა საბედნიერო მიმდინარეობით ალავერდს დაუკავშირდნენ.

და რადგან „პირველითგან იყო სიტყვა და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა“ (იოან. 1, 1), ჟურნალი „ალავერდი“ ძალისხმევას არ დაიშურებს, რომ მისი სიტყვა ადამიანთა ღვთის სიტყვასთან მიმყვანად, უფალთან მისასვლელი გზის მაჩვენებლად და ამ გზაზე დადგომის ხელშემწყობად იქცეს. ამის იმედს გვაძლევს ჩვენი ეკლესიის ლოცვა-კურთხევა, სასულიერო დასისა და ღვთის მოყვარე ერის საერთო ძალისხმევა, ლოცვითი და საქმითი ერთობა.

ჟურნალი „ალავერდი“ N1, გაზაფხული, 2013